„DOCTORIUM- ი“ (აქ და შემდგომში მოხსენებული, როგორც „ჩვენ “ და „აპლიკაცია“) მოწოდებულია და კისრულობს ვალდებილებას დაიცვას თქვენი და თქვენი პერსონალური მოცემების პრივატულობა. ეს არის დებულება, სადაც ჩამოყალიბებულია ჩვენთან მოქმედი „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“, რომელიც სავალდებულოა ჩვენი დაწესებულებისათვის და სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ საქართველოს კანონთან ”პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“. ეს დებულება განსაზღვრავს ჩვენს მიერ პერსონალური მონაცემების შეკრების, დამუშავების, გაზიარების და დაცვის წესებს და ადგენს ჩვენთან რეგისტრირებული პირების (აქ და შემდგომში მოხსენიებული როგორც თქვენ /თქვენი ) პერსონალური მონაცემების სპეციალურ კატეგორიებს. ამასთანავე, დებულებაში მოცემულია ის არჩევანი, რომელიც თქვენ გენიჭებათ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენების , მათთან წვდომის, მათი შესწორების ან ამოშლის დროს.

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით პერსონალური მონაცემემების შესახებ ჩვენთან მოქმედ ამ დებულებას, გთხოვთ ნუ გამოიყენებთ DOCTORIUM-ს და/ან ჩვენს მიერ შემითავაზებულ მომსახურებებს.

* ამ აპლიკაციის გამოყენება ავტომატურად ნიშნავს, რომ თქვენ წაიკითხეთ, გაიგეთ და დაეთანხმეთ ამ დებულების მოთხოვნებს და თანახმა ხართ, რომ თქვენზე გავრცელდეს ჩვენთან მოქმედი „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“, მოთხოვნები, ისე, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ამ დებულებაში.

* ამ დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ იგულისხმება, რომ თქვენ ეთანხმებით თქვენი პერსონალური მონაცემების მოკრების, დამუშავების, გამჟღავნების წესებს,როგორც ეს ჩამოყალიბებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“, ამ დებულებაში.

თუ თქვენ ამ აპლიკაციას იყენებთ სხვისი სახელით (მაგ. თქვენი შვილის სახელით) თქვენ ადასტურებთ, რომ უფლებამოსილი ხართ (1) მიიღოთ „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“, ეს დებულება ამ პირის სახელით და (2) თანხმობას აცხადებთ ასეთი პირის სახელით ჩვენს მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოკრების, დამუშავების და გამჟღავნების თაობაზე „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტის“ამ დებულების შესაბამისად.

## 1. პერსონალური მონაცემების მოკრება და დამუშავება

1.1 DOCTORIUMი მოკრებს და დაამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რაც აუცილებელია თქვენთვის მაღალხარისხიანი მომსახურების გასაწევად და თქვენი საჭიროებების საუკეთესოდ დასაკმაყოფილებლად, ასევე აუცილებელი უკუკავშირის დასამყარებლად ექიმთა და სხვა მედ-პერსონალის, ან ნებისმიერი სხვა მომწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. თქვენი მონაცემები, მხოლოდ და მხოლოდ განზოგადებული და მკაცრად ანონიმური სახით, შესაძლოა, აგრეთვე გამოყენებული იქნეს სტატისტიკური ანალიზისათვის და ბიზნეს გათვლების განსახორციელებლად.

ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს პრივატულობას და ამდენად, ვიღებთ ვალდებულებას, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორცილდება:

ა. კანონის მითხოვნათა სრული დაცვით, სამართლიანად და გამჭვირვალედ;

ბ.მოკრება განხორციელდება ღიად, მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისათვის და არ დამუშავდება ამ მიზნებთან შეუფერებელი გზებით;

გ. იქნება იმ მიზნებთან შესაფერისი და შესაბამისი, რისთვისაც ხდება მონაცემთა დამუშავება და არ გასცდება შესაბამის ჩარჩოებს;

დ. იქნება ზუსტი, ხოლო სადაც საჭიროა - განახლებული;

ე. შეინახება იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური ინფორმაციის ზუსტ იდენტიფიკაციას შესაბამის პირებთან და მხოლოდ იმ დროით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე.

აქ და ამდენად, ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის, თქვენ ეთანხმებით ასეთი ინფორმაციის მოკრებას და დამუშავებას DOCTORIUMის მიერ. თქვენი პერსონალური მონაცემების მოკრება და დამუშავება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ იმფორმაციას:

- თქვენი სახელი და გვარი
- მოწყობილობა, რომელსაც იყენებთ ამ აპლიკაციასთან წვდომისას;
- თქვენი საცხოვრებელი ადგილი, ქალაქი და ქვეყანა;
- თქვენი საკონტაქტო მონაცებები (ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი );
- დემოგრაფიული მონაცემები (თქვენი დაბადების თარიღი და სქესი);
- თქვენი პირადი ნომერი, ან პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი სხვა საბუთის ნომერი და მისი გამცემი დაწესებულება;
- თითის ანაბეჭდი და სურათი
- იმ პირის სახელი, გვარი ტელეფონი და ნათესაობის ან დამოკიდებულების ხარისხი , ვისაც დავუკავშირდებით საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში;
- მონაცემები თქვენს მიერ გამოყენებული მომსახურებების შესახებ, ასევე მონაცემები თქვენს მიერ მიღებული მომსახურებების და როგორც ექიმის, ასევე თქვენი ინიციატივით ექიმთან შეხვედრების ისტორია;
- თქვენი სადაზღვევო მონაცემები (სადაზღვევო კომპანია, დაზღვევის ტიპი, საგარანტიო წერილი, დაზღვევის გეგმა);
- ინფორმაცია, ხართ თუ არა რომელიმე სააფთიაქო ქსელის ერთგული მომხმარებელი ან თუ მიგიღიათ სააფთიაქო სასაჩუქრე ბარათი;
- მონაცემები თქვენი ჯანმრთელობის შესახებ - რა მედიკამენტებს იღებთ, იტარებთ თუ არა მკურნალობის კურსს, ექიმთან ვიზიტები და სხვ.;
- საბანკო ბარათის ნომრის პირველი ექვსი (6)და ბოლო ოთხი(4) ციფრი, ბარათის მფლობელის გვარი და სახელი და ტრანზაქციის სამციფრიანი კოდი
- თვენი ტრანზაქციები DOCTORIUM ის საშუალებით შეძენილი პროდუქტებისა და მიღებული მომსახურებებისათვის;
- დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ნებაყოფლობით მოგვაწვდით (მაგ. ფოტო, თქვენი წონა, სიმაღლე, ალერგიული რეაქციები, სისხლის ჯგუფი, და სხვ. );

## 2. „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“ ძირითდი დებულებები

2.1 თქვენ პასუხისმგებელი ხართ თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებული პერსონალური მონაცემების სისწორესა და მართებულობაზე, მაგ. თქვენი საკონტაქტო მონაცემების სიზუსტეზე, რაც თქვენი სარეგისტრაციო ფაილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თქვენი პერსონალური მონაცემების შეცვლის შემთხვევაში თქვენ მოვალე ხართ შეასწოროთ ინფორმაცია, ამოშალოთ ყველა უზუსტობა ან/და დამატებები შეიტანოთ თქვენს პირად მონაცემებში. ჩვენის მხრივ, ჩვენ, გადაუდებლად და პირველივე შესაძლებლობისას კეთილსინდისიერად განვახორციელებთ თქვენს მიერ მითითებულ ყველა ცვლილებას ჩვენს აქტიურ მონაცემთა ბაზაში. თქვენის მხრიდან რაიმე სახის მცდარი, არაზუსტი, მოძველებული ან არასრული ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში (ან იმ შემთხვევაში, როცა იცით, რომ მოწოდებული ინფორმაცია გახდება მცდარი, არაზუსტი, მოძველებული ან არასრული), ან მაშინ, როდესაც DOCTORIUMს ექნება გონივრული საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა იყოს მცდარი, არაზუსტი, მოძველებული ან არასრული, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ შევწყვიტოთ თქვენი მომსახურება.

2.2 იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოისურვებთ ჩვენთან არსებული თქვენი სარეგისტრაციო ფაილის დეაქტივაციას ან გაუქმებას, ან შეგვატყობინებთ, რომ აღარ გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები და შევწყვიტოთ თვენი მომსახურება, გთხოვთ, შესამაბისი შეტყობინება მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: INFO@DOCTORIUM.GE. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ დავაყოვნოთ თქვენი სარეგისტრაციო ფაილი ჩვენს მინაცემთა ბაზაში სანამ აქტრიური იქნება თქვენი სარეგისტრაციო ფაილი და სანამ ჩვენ გიწევთ მომსახურებას თქვენ. ჩვენ არ შევინახავთ ასეთ ინფორმაციას იმაზე ხანგრძლივი დროით, ვიდრე ეს საჭიროა იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია კანონიერად იქნეს გამოყენებული იმ წესებით და ისე, როგორც ეს განსაზღვრულია იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, რომ თქვენი მონაცემების განზოგადებისა და ანონიმიზაციის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ დავიტოვებთ მიღებულ ინფორმაციას ჩვენი მომსახურების ხარისიხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, და ამ ანონიმიზებულ მონაცემებს გამოვიყენებთ მხოლოდ და წმინდად სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისათვის. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ უკან გაიხმობთ თქვენს თანხმობას ან გააუქმებთ თქვენს სარეგისტრაციო ფაილს, DOCTORIUMი ვეღარ შეძლებს თქვენს მომსახურებას და/ან შეწყვეტს თქვენთან ნებისმიერ ურთიერთონას, რაც კი შეიძლება ქონდეს თქვენთან DOCTORIUMს.

**2.3** თუ გსურთ, რომ არ მიიღოთ მეორეხარისხოვანი შეტყობინენები ჩვენსა და ჩვენი მომსახურებების შესახებ, როგორიცაა მარკეტინგული პრომოუშენ და/ან სარეკლამო მასალები, მოგვწერეთ შემდეგ ელ-მისამართზე: INFO@DOCTORIUM.GE

2.4 თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების ან შეძენილი სამედიცინო საშუალებების საფასურს საბანკო ბარათით იხდით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ შევკრიბოთ შემდეგი ინფორმაცია: თქვენი საბანკო ბარათის ნომერი ან სხვა სახის საბანკო ინფორმაცია, როგორიცაა საბანკო ანგარიშის(ანგარიშების) ნომერი(ნომრები), რასაც ჩვენ გამოვიყენებთ თქვენთვის შესაბამისი ანგარიშების წარსადგენად და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საგადასახადო ოპერაციებისათვის. ეს გულისხმობს და მოიცავს ამ მონაცემების გადაცემას მესამე მხარისათვის, თუ ეს აუცილებელი გახდება ხსენებული საანგარიშგებო ოპერაციების შესასრულებლად. საკრედიტო ინფორმაციის დადასტურებას ახდენთ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ, როგორც ბარათის მფლობელი, აუტენტიფიკაციის პროცესის მეშვეობით. თქვენი საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და ტრანსაქციები ხორცირლდება მხოლოდ და მხოლოდ გადახდების დადასურებული სადგურების დადასტურებული უსაფრთხო საიტების მეშვეობით, რომლებიც ციფრულადაა კოდირებული და ამდენად, უზრუნველყოფს დაცულობის უმაღლეს ხარისხს, რაც კი შესაძლებელია მოქმედი ტექნოლოგიების საფუძველზე.

2.5. თქვენ, როგორც მომხმარებელს, შესაძლოა შეგეზღუდოთ წვდომა ჩვენს საიტზე განთავსებულ მომსახურებებთან (მაგ. მედიკამენტების მოძიება) თუ კი არ მოგვაწვდით თქვენს პირად ნომერს და სხვა სახის პირად ინფორმაციას, რაც აუცილებელია ექიმთან ვიზიტების დასაჯავშნად, დანიშნულების, ფასდაკლებების და/ან სადაზღვევო კომპანიების საგარანტიო წერილების მისაღებად. ჩვენს საიტზე სრული წვდომისა და ყველა გათვალისწინებული შეღავათის მიაღებად თქვენ, როგორც მომხმარებელმა უნდა მოგვაწოდოთ თქვენი პირადი ნომერი და სხვა შესბამისი ინფორმაცია, რასაც ვერიფიკაციის მიზნით გავუზიარებთ ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს.

2.6 „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“ ეს დებულება ვრცელდება და მოიცავს ყველა აპლიკაციას, პროგრამულ უზრუნველყოფას, პროდუქციასა და მომსახურებას , რაც კი ეკუთვნის და რომელსაც აკონტროლებს ერთობლივი საწარმო JSC VABACO, (იურიდიული პირი , რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის # 406102275), რომელიც DOCTORIUMის მფლობელია. თქვენს მიერ ჩვენს საიტიზე შემოსვლა და მოწოდებული მომსახურებების გამოყენება ასევე ექცევა „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“ ამ დებულების ქვეშ, ასევე ჩვენი პირობებისა და წესების და ჩვენთან მოქმედი სხვა წესების ქვეშ. ამავდროულად, DOCTORIUMის წესები არ ვრცელდება იმ საიტებზე და ბმულებზე , რომლებშიც თქვენ შეხვალთ ჩვენი აპლიკაციის და ჩვენს მიერ მოწოდებული მომსახურებების საშუალებით. შესაძლოა, ამ სხვა საიტებმა, თქვენი, როგორც მომხმარებლის მოწყობილობებზე

განათავსონ თავიანთი საკუთრი რეკლამები ან სხვა ფაილები, მოკრიბონ მონაცემები ან გამოითხოვონ თქვენი პერსონალური მონაცემები, რაზეც DOCTORIUMი პასუხს ვერ აგებს და ვერ დაეკისრება რაიმე ვალდებულება. შესაბამისად, DOCTORIUMი  რაიმე სახით ვერ იქნება პრივატულობის დაცვის წესების წარმომადგენელი ასეთ საიტებზე. ასევე, ჩვენ ვერ ვიქნებით ამ საიტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, მონაცემების, ტექსტის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბგერის/ხმის, ფოტოების, გრაფუკული მასალის, ვიდეომასალის, შეტყობინებების ან მათ მიერ მოწოდებული სხვა  მასალის სიზუსტის, სიმართლის, ან ხარისხის გარანტი. თუ თქვენ გადაწყვეტთ და ეწვევით მესამე მხარის ვებ-გვერდებს/საიტებს ან ბმულებს, ამას აკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობით  და პირადი რისკის ფასად. DOCTORIUMი მოგიწოდებთ, რომ თქვენ, როგორც მომხმარებელმა, წაიკითხოთ  და შეამოწმოთ მესამე მხარის პრივატულობის პოლიტიკა.

2.7 DOCTORIUMი ახორციელებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის გონივრულ პოლიტიკას  და შესაბამის პროცედურებს, რომელთა მიზანია  მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა და მათთან უკანონო წვდომის, მათი უმართებულო გამოყენების ან გავრცელების, უკანონო განადგურების ან შემთხვევით დაკარგვის ან მათში  უკანონო ცვლილებების შეტანის აღკვეთა.  ამასთანავე, ნებისმიერი პერსონალური მონაცემის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, რაც მოხდება თქვენი, როგორც მომხმარებლის ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების შედეგად, რომლის საშუალებითაც თქვენ სარგებლობთ DOCTORIUMის საიტით და მისი მომსახურებებით, DOCTORIUMი ვერ ჩაითვლება პასუხისმგებელ მხარედ და ვერ დაეკისრება ვალდებულებები თქვენი, როგორც მომხმარებლის ქმედებების გამო.

2.8 DOCTORIUMი ახორციელებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების  გონივრულ  პოლიტიკას და შესაბამის პროცედურებს. ამისათვის ჩვენ  შემოღებული გვაქვს საინფორმაციო უსაფრთხოების დოკუმენტირებული და ფორმალიზებული ყოვლისმომცველი პროგრამა და უსაფრთხოების წესები, სადაც განსაზღვრულია სიანფორნაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მართველობითი, ტექნიკური, ოპერატიული და ფიზიკური დაცვის ზომები,  რომლებიც  ჩვენს მიერ შეკრებილი ინფორმაციისა და ჩვენი საქმიანობის ბუნების თანაზომიერია.

2.9 ჩვენ ერთობ სარიოზულად ვუდგებით თქვენს უფლებას რომ დაცული იყოს თქვენი პერსონალური მონაცემები და არ გავამჟღავნებთ მათ გარდა ამ დებულებით განსაზღვრული შემთხვევებისა ან იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ქმედება მოთხოვნილია კანონის ძალით, ზემდგომი ორგანოების ან შესაბამისი მართლწესრიგის განმახორციელებელი  სააგენტოს მოთხოვნით, ან მაშინ, როდესაც DOCTORIUMი, საკუთარი შეხედულებისამებრ,  საკუთარი ან სხვათა უფლებების დასაცავად, ინდივიდების ან საკუთრების დაზიანების აღსაკვეთად, თაღლითობის გამოსააშკარავებლად ან მისი ნდობისადმი რისკის ასაცილებლად საჭიროდ ჩთვლის ამ დებულების განხორციელებას.

2.10 DOCTORIUMი უფლებამოსილია, რომ ამ აპლიკაციის გამართული მუშაობისა და მისი  გაგმიური მომსახურების მიზნით მასთან კონტრაქტის საფუძველზე  ან მისი სახელით  მომუშავე მესამე მხარეს გადასცეს ინფორმაცია,  იმ ოდენობით და იმ ჩარჩოებში, რაც აუცილებელია თქვენთვის,  როგორც მომხმარებლებისათვის მომსახურებების გასაწევად. ამ შემთხვევაში, თქვენ უფლებას გვაძლევთ, რომ ჩვენ კონტრაქტორებთან გავამჟღავნოთ  თქვენი პერსონალური ინფორმაცია, მხოლოდ და მხოლოდ აქ გაცხსდებული მიზნით.

2.11 ჩვენ,  ჩვენს თანამშრომლებს, აგენტებს ან პარტნიორებს და მესამე მხარის წარმომადგენლებს ჩვენთან არსებულ პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლებას ვაძლევთ მხოლოდ საჭიროების საფუძველზე. ჩვენი ყველა თანამშრომელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ინფორმაციის კონფედენციალურობის წესები.

2.12 ისე, რომ არ ეწინააღმდეგება ყოველივე ზემოთქმულს, DOCTORIUMი პასუხს არ აგებს თქვენი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობაზე ან უსაფრთხოებაზე ან მათ გასაχაროებაზე ჩვენი პარტნიორების ან მესამე მხარის წარმომადგენლების მიერ, თუასეთი რამ მოხდა ჩვენს მიერ ამ პარტნიორებთნ ან მესამე მხარის წარმომადგენლებთან  დადებული შეთანხმებებით განსაზღრული პირობების მიღმა. ამას გარდა DOCTORIUMს არ დაეკისრება  პასუხისმგებლობა უსაფრთოების დარღვევის ნებისმიერ იმ შემთხვევაზე, ან ნებისმიერი  მესამე მხარის  ნებისმიერ იმ ქმედებებზე ან

შემთხვევებზე, რაც გონივრულად DOCTORIUMის კონტროლის სფეროს მიღმაა, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: თქვენი ელექტრომოწყობილობის წინააღმდეგ მოწყობილი მთავრობის ქმედებები, ჰაკერული თავდასხმები, თქვენი კომპიუტერის ან ინფორნაციის შესანახი მოწყობილობის არაუფლებამოსილი გამოყენება, მათი დამტვრევა, უსაფრთხოების ბარიერების ან კოდის დარღვევა, ინტერნეტის ან სატელებონო კავშირის დაბალი ხარისხი და სხვ.

## 3. ცვლილებების შეტანა „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“ დებულებაში

3.1 ჩვენ უფლებამოსილნი ვართ ნებისმიერ დროს განვაახლოთ ჩვენთან მოქმედი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა. თუ ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები ან პრივატულობის დაცვის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება, მაშინ ჩვენს საიტზე გამოვაქვეყნებთ შესაბამის შეტყობინებას, რათა თქვენ გაეცნოთ შეცვლილ დებულებებს და გადაწყვიტოთ, გააგრძელებთ თუ არა ჩვენი მომსახურებით სარგებლობას. თუ არ ეთანხმებით განხორციელებულ ცვლილებებს, ჩვენს რომელიმე პირობას და არ გსურთ შემდგომში ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებებით, გთხოვთ მოგვწეროთ ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: INFO@DOCTORIUM.GE, რათა მოხდეს თქვენი პირადი ფაილის დეაქტივაცია. ვიდრე სხვაგვარად არ არის დადგენილი, „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის“ მოქმედი დებულებები ეხება DOCTORIUMში არსებულ ყველა მონაცემს თქვენსა და თქვენი პერსონალური ფაილის შესახებ.

## 4. თანხმობა ამ დოკუმენტის დებულებებთან

4.1 თქვენ აღიარებთ და აცნობიერებთ, რომ ეს დოკუმენტი- „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“- არის ჩვენი აპლიკაციითა და ჩვენი მომსახურებებით სარგებლობის პირობების ნაწილი. თქვენ უპირობოდ ეთანხმებით, რომ ჩვენი აპლიკაციითა და ჩვენი მომსახურებებით სარგებლობა გულისხმობს (i) თქვენს თანხმობას ამ პოლიტიკის დებულებებთნ; და (ii) თვენს თნხმობას, რომ DOCTORIUMი გამოიყენებს, მოკრებს, დაამუშავებს და/ან გაამჟღავნებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს ისე და იმ მიზნებისათვის, როგორც ეს ჩამოყალიბებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკაში'' და ჩვენი აპლიკაციით და ჩვენი მომსახურებებით სარგებლობის პირობებში.

## 5. პრივატულობასთნ და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებასთან დაკავშირებული კითხვები

თუ გაგიჩნდებათ კითხვები პერსონალური მონაცემების დაცვასთნ და ჩვენს მიერ თვენი პერსონალური მონაცემების მოკრების, გამოყენების, გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით, თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტით მისამართზე: INFO@DOCTORIUM.GE. ჩვენ, გონივრულ ფარგლებში, ვეცდებით დროულად ვუპასუხოთ თქვენს ნებისმიერ შეკითხვას, მოთხოვნას, წინადადებას, რომელიც შესაძლოა გაგიჩნდეთ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით.
გარკვეულ გარემოებებში თქვენ გაქვთ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებები, როგორიცაა:

- ჩვენთან არსებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებთან წვდომის, მისი განახლების ან იქიდან ინფორმაციის ამოშლის უფლება. როცა კი შესაძლებელი იქნება, თქვენ შეგეძლებათ მისწვდეთ, განაახლოთ ან მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა უშუალოდ თქვენი პერსონალური ფაილიდან პარამეტრების ღილაკის მეშვეობით. თუ თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას, დაგვიკავშირდით და ჩვენ დაგეხმარებით.
- შესწორების უფლება. თქვენ გაქვთ უფლება შესწორებები შეიტანოთ თქვენს პირად მონაცემებში, თუ ეს ინფორმაცია უზუსტო ან ნაკლულია;

- თქვენი თანხმობის გამოხმობის უფლება. თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს გამოიხმოთ თქვენი თანხმობა ყველა იმ შემთხვევასთან დაკავშირებით , სადაც DOCTORIUMი თქვენს პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს თქვენი თანხმობის საფუძველზე. თუ თქვენ აღარ გსურთ, რომ დიქტორიუმმა შემდგომშიც დაამუშავოს თქვენი პერსონალური მონაცემები, თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტით მისამართზე: INFO@DOCTORIUM.GE. თანხმობის გამოხმობა აღძრავს პროცესს, რასაც მოჰვება DOCTORIUMში თქვენი პირადი ფაილის გაუქმება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა ჩვენ გთხოვოთ თქვენი ვინაობის დადასტურება ასეთ მოთხოვნაზე ჩვენი რეაგირების წინ.

თქვენ უფლებამოსილი ხართ საჩივრით მიმართოთ მონაცემთა დაცვის სააგენტოს, ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების თაობაზე. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სახელმწიფო ინსპექტორის ოფისს ელექტრინულ მისამართზე: https://personaldata.ge